პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 43 (9511) | პარასკევი, 20 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ № 8 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, წილად გვხვდა დიდი ბედნიერება, უდიდესი სიხარული — არჩევნების დღეს, 1953 წლის 22 თებერვალს ხმა მივცეთ საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს, შობლიურ სტალინს, რომელიც დათანხმდა კენჭი იყაროს ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში. ამ სიხარულსა და ბედნიერებას ჩვენთან ერთად იზიარებს ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის ოლქის ყველა მშრომელი, რომლებიც უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან არჩევნების ღირსშესანიშნავი დღისათვის.

დიდ ბელადს — ჩვენი ხალხის დიდებასა და სიამაყეს ხმას მისცემთ თქვენც, ქალაქ თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, სადაც დიდი სტალინი კენჭს იყრის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე.

ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, არჩევნების წინ ჩვენ გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი გრძნობები, გიამბოთ, როგორ ვშრომობთ, შობლიური კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით როგორ იფურჩქნება ეკონომიკა და კულტურა ჩვენთან, ქუთაისის ოლქში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა ქვეყანაში.

ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდი სტალინი ქმნიდა და აწრთობდა პირველ კომუნისტურ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რაზმავდა მშრომელებს თეითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია სახელოვანი ისტორია თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა, რომლის კოლექტივმაც თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი ბელადი. საქართველოს ამ უძველეს საწარმოში ამხანაგი სტალინი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მუშებს ამზადებდა მომავალი დიდი ბრძოლისათვის.

საქართველოს უძველესი ქალაქის — ქუთაისის ისტორიაში სახელოვანია ის ფურცლები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან. ბრძენი ბელადი იყო ქუთაისელ მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. ამხანაგმა სტალინმა ქუთაისში, ჭიათურასა და სხვა ადგილებში მოაწყო დისკუსიები, რომლებზეც მტკიცედ იცავდა ლენინურ ხაზს, აკამტვერებდა მენშევიკებს და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს. ჩვენს ქალაქში რევოლუციური მუშაობის პერიოდში ამხანაგმა სტალინმა დაწერა თავისი ისტორიული „წერილები ქუთაისიდან“.

ქუთაისის აყვავება და განახლება, საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრად მისი გადაქცევა დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

ქუთაისის წინაშე უფრო ფართო ჰორიზონტი გადაიშალა მას შემდეგ, რაც ოგი ამხანაგ სტალინის ინიციატივით საოლქო ცენტრი გახდა.

ქუთაისის ათობით ფაბრიკა-ქარხანა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს აწვდის საშახტო მოწყობილობასა და მანქანებს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, სამკერვალო ნაწარმს, ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟს, საშენ მასალებს, კონსერვებსა და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციას.

ინდუსტრიული ქუთაისის სიამაყეა საავტომობილო ქარხანა, რომლის მშენებლობა დაიწყო დიდი ბელადის უშუალო ინიციატივით.

ქუთაისელმა ავტოქარხნელებმა, რომლებიც გამოხატავენ ქუთაისის ოლქის ყველა მშრომელის გრძნობებსა და ფიქრებს, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატად დაასახელეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

ბელადის თანხმობამ — კენჭი იყაროს ქუთაისის საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატობაზე — უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია ქუთაისის ოლქის ყველა მშრომელთა შორის, აღაფრთოვანა ისინი ახალი შრომითი წარმატებებისათვის.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საქმით გავამართლოთ ის უდიდესი პატივი და ნდობა, რაც დიდმა სტალინმა ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის ოლქის მშრომელებს აღმოუჩინა.

ქალაქის საწარმოები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და წარმატებით შეასრულეს იანვრის საწარმოო დავალება. ახლა ქუთაისელი მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ არჩევნების დღის — 22 თებერვლისათვის შეასრულონ მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის პირველი ორი თვის გეგმა.

რესპუბლიკის მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება და ვითარდება კულტურა. სულ უფრო სისხლსავსე ხდება ქალაქის კულტურული ცხოვრება. ქუთაისში შეიქმნა და მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი იქნება. წელს მთავრდება ქუთაისის დრამატული თეატრის შენობის აგება, იქმნება ახალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

დიდი სამუშაოები ხორციელდება ქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. ქუთაისის მშრომელები მთელ ძალას და ენერგიას იხმარენ იმას, რომ ქუთაისი ჩვენი რესპუბლიკის ლამაზი, სანიმუშო კეთილმოწყობილი ქალაქი გახადონ. ჩვენ კარგად გვახსოვს ამხანაგ ა. ი. მგელაძის სიტყვები საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე, რომ „ჩვენ, საქართველოს კომუნისტები, მოვალენი ვართ ისე ვიმუშაოთ, რომ ამხანაგი სტალინი, როცა კვლავ ეწვევა და დაათვალიერებს ქალაქს, კმაყოფილი დარჩეს ჩვენი მუშაობით ქუთაისის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის დარგში და მისცეს ამ მუშაობას შეფასება „კარგი“.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული [illegible] სტალინმა [illegible] მისი გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აღფრთოვანებული ქუთაისის მშრომელები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის.

ყოველი საბჭოთა ადამიანის ყველაზე მხურვალე და კეთილშობილური მისწრაფებაა თავდადებული შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ზრუნვა მისი ძლიერების შემდგომი ამაღლებისათვის, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის. ჩვენ დაუღალავად გავაძლიერებთ სიფხიზლეს, ვამხილებთ მტრების ყველა ხრიკს.

უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების სიყვარული და ერთგულება ჩვენი საყვარელი სამშობლოსადმი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

1953 წლის 22 თებერვალს ქალაქ თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქისა და ქალაქ ქუთაისის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები უკლებლივ ყველანი ერთსულოვნად მივცემთ ხმას პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატს — მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, მშვიდობის დიდ მედროშეს, მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

მივცემთ რა ხმას დიდ სტალინს, ამით ჩვენ ხმას მივცემთ ჩვენს ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებას.

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემოქმედს დიდ სტალინს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ქალაქ ქუთაისის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ № 33 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

სადღესასწაულოდ არის მორთული ძერჟინსკის სახელობის კლუბის დარბაზი. სცენის სიღრმეშია საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტები, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლების ამხანაგების გ. მ. მალენკოვისა და ლ. პ. ბერიას პორტრეტები.

აქ შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ბერიას № 33 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები.

წინასაარჩევნო კრებას ხსნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. შ. აბაიშვილი.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს დიდი სტალინის მეთაურობით. დარბაზში დიდხანს არ ცხრება მქუხარე ოვაცია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

პირველი სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს საქართველოს სსრ სახალხო არტისტს დ. ანთაძეს. იგი ამბობს:

— ახლოდებს ღირსშესანიშნავი დღე, 22 თებერვალი — ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. მილიონობით საბჭოთა ადამიანი ამ დღეს, გამოხატავს რა თავის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას შობლიური კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატად საბჭოთა ადამიანებმა დაასახელეს ხალხის ბედნიერების შემოქმედი, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადი შობლიური სტალინი. დიდი სტალინის თანხმობამ — კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე — მთელი ქართველი ხალხის უდიდესი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას, რომ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მ. მალენკოვი რეგისტრირებულია თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ჩვენი ოლქის ამომრჩევლებს წილად ხვდათ დიდი ბედნიერება — ხმა მისცენ ამხანაგ გ. მ. მალენკოვს.

ამხანაგ მალენკოვისათვის ხმის მიცემით ჩვენ ერთხელ კიდევ ცხადვყოფთ ჩვენს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, მზადყოფნას მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ტრიბუნაზე ადის ნდობით აღჭურვილი პირი ლ. ფარჯანაძე.

— ადგილობრივი საბჭოების არჩევნები სასიხარულო და ღირსშესანიშნავი მოვლენაა, — ამბობს იგი. მშრომელები მას ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავენ. საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავდადებით იბრძვიან მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, ჩვენი დიდი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. არჩევნების დღეს ჩვენ ყველანი ერთსულოვნად სიხარულით მივცემთ ხმას ჩვენს სახელოვან კანდიდატს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ გ. მ. მალენკოვს.

აღფრთოვანებულ სიტყვას ამბობს ახალგაზრდა ამომრჩეველი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქალი მ. ხუციშვილი.

— პარტიის, დიდი სტალინის ზრუნვით, — ამბობს იგი, — ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობას ყველა გზა გახსნილი აქვს. საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობის ცხოვრება ბედნიერი, საამური. ამ სტალინურ ზრუნვას საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით უპასუხებს. საყვარელ სამშობლოს, ლენინ — სტალინის საქმეს ახმარს იგი მთელ თავის ძალღონეს. ახალგაზრდა ამომრჩევლები სიხარულით ელიან არჩევნების დღეს. ამ დღეს ისინი ყველა მშრომელთან ერთად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. სპერანსკაიამ.

ტრიბუნაზეა პოეტი ი. ნონეშვილი. იგი გულში ჩამწვდომი სიტყვებით ლაპარაკობს საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებზე, მათს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებაზე ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, მზადყოფნაზე თავდადებით იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. თავის გამოსვლას იგი ამთავრებს ლენინ — სტალინის პარტიისადმი, ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსის კითხვით.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა დიასახლისი ნ. ქარელიძე, რომელმაც თქვა, რომ ოლქის ამომრჩეველები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის სახელოვან კანდიდატს ამხანაგ გ. მ. მალენკოვს.

წინასაარჩევნო კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

კრების მონაწილენი ტაშის გრიალში იღებენ მისალმებას ამხანაგ გ. მ. მალენკოვისადმი. (საქდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ № 2 ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

გუშინ სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში საზეიმო ვითარებაში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის კიროვის № 2 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება.

კრებას შესავალი სიტყვით ხსნის № 7 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. რ. ელენტი. იგი ლაპარაკობს უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომლის ვითარებაშიც ქართველი ხალხი ხდება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს, ლაპარაკობს საბჭოთა ადამიანების მხურვალე სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებაზე კომუნისტური პარტიისადმი, პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

— საქართველოს მშრომელებმა, — ამბობს იგი, — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებად დაასახელეს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები, სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები. თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის № 2 საარჩევნო ოლქში დიდი ერთსულოვნებით დასახელებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე. ჩვენი ოლქის ამომრჩევლები სიხარულით მისცემენ მას თავიანთ ხმას.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით წინასაარჩევნო კრების საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანს ამხ. ლ. გოგიჩაძეს.

— ლენინის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, — ამბობს იგი, — უდიდესი აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი სტალინი კენჭს იყრის თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე № 8 საარჩევნო ოლქში, რომელიც ჩვენს რაიონშია. საყვარელი ბელადის სახელი აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს ახალი გამარჯვებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საბრძოლველად.

თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენს საარჩევნო ოლქში დასახელებულია პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ა. ი. მგელაძე.

აკაკი ივანეს-ძე მგელაძის მოღვაწეობა სამშობლოსადმი, ხალხისადმი, ლენინ — სტალინის პარტიის საქმისადმი თავდადებული სამსახურის კაფიო მაგალითია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტზე ამხანაგი მგელაძე მტკიცედ, მთელი ენერგიით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების, ამხანაგ სტალინის პირადი მითითებების შესრულებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მოკლე ვადაში მიაღწიეს აღმავლობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ამხანაგი მგელაძე სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც მთელ თავის ძალღონესა და ენერგიას ახმარს ჩვენი სამშობლოს აყვავების საქმეს. არჩევნების დღეს — 22 თებერვალს ჩვენ სიხარულით მივცემთ ხმას მას, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს.

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი — ვაკის 39-ე საშუალო სკოლის პედაგოგი ამხ. თ. შავგულიძე. ნდობით აღჭურვილი პირი გულთბილად ახასიათებს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამხანაგ მგელაძის ნაყოფიერ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის პირად მითითებათა განუხრელად განხორციელებისაკენ, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისაკენ. იგი რწმენას გამოთქვამს, რომ ამომრჩეველები ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ ა. ი. მგელაძეს.

სიტყვებს ამბობენ დიასახლისი ლ. გაჩეჩილაძე, ახალგაზრდა ამომრჩეველი, ქალთა 38-ე სკოლის მოსწავლე ც. ფციალაძე, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი პ. ზუბრიცკი, სტუდენტი თ. გრძელიშვილი და სხვები. ისინი გამოთქვამენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებს, ლაპარაკობენ მათს ბედნიერ, საამურ ცხოვრებაზე სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ, მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულზე დიდი სტალინისადმი, გულთბილად ლაპარაკობენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატზე ამხანაგ ა. ი. მგელაძეზე.

წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციით მიიღეს დიდი სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიღებულია მისალმება ამხანაგ ა. ი. მგელაძისადმი. (სსქდესი).

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲒᲖᲐ“

16 თებერვალს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში გაიხსნა დიდი ფოტოგამოფენა „საბჭოთა არმიის საბრძოლო გზა“.

გამოფენის პირველი სტენდები მიძღვნილია საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფუძემდებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინისადმი.

მრავალი ფოტოდოკუმენტი მოგვითხრობს საბჭოთა არმიის შექმნაზე, მის ბრძოლაზე უცხოელ ინტერვენტებთან და შინაურ კონტრრევოლუციასთან სამოქალაქო ომის წლებში.

გამოფენის ერთ-ერთი განყოფილება ასახავს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სტალინური ხუთწლედების მახვილზე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომართა საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლას.

თვალსაჩინო ადგილი უკავია დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ მასალებს. ისინი მოგვითხრობენ გერმანელ ფაშისტთა არმიასა და იმპერიალისტური იაპონიის არმიაზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი გამარჯვების შესახებ. (საკდესი).

პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ყველა წარმატების საწინდარია

★

ა. მგელაძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

★

კომუნისტური პარტიის, მისი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომკავშირი მუდამ იყო და არის პარტიის ერთგული თანაშემწე და საბრძოლო რეზერვი.

„კომკავშირი, — ამბობს ამხანაგი ი. ბ. სტალინი, — ჩვენში მუდამ იყო ჩვენი მებრძოლების პირველ რიგებში. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ იგი ჩვენში ჩამორჩენოდეს ჩვენი რევოლუციური ცხოვრების ამბებს“.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მის ბრძნულ სიტყვას ყრილობაზე. მან ისინი მიიღო როგორც დიად სამუშაოთა საბრძოლო პროგრამა, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პროგრამა.

იმისათვის, რომ ამაღლდნენ ახალი ამოცანების დონემდე, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, როგორც პარტია გვასწავლის, უწინარეს ყოვლისა უნდა გაუმჯობესონ ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმე. ეს საკითხი ყოველთვის უნდა იდგეს კომკავშირის კომიტეტების ყურადღების ცენტრში.

ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების ახლანდელი საუკეთესო პირობები, ყველა ის ბრწყინვალე შესაძლებლობანი, რომლებიც მის წინაშეა გადაშლილი, თავისთავად როდი მოსულა, როგორც ეს გულუბრყვილოდ ჰგონია ზოგიერთ ახალგაზრდას. ისინი მოპოვებულია ჩვენი ხალხის, კომუნისტების ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლით. ახალგაზრდობამ კარგად უნდა იცოდეს, მას ცოცხლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის წარსული, რომ კიდევ უფრო მეტად აფასებდეს თავის ახლანდელ თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას.

კომკავშირის კომიტეტები მოწოდებული არიან ისე აწარმოონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში, რომ მას მკაფიო, დამჯერებელი მაგალითებით მუდამ განუმარტავდნენ იმ პირობებს, რომლებშიც მშრომელები ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდნენ რევოლუციამდე და რომლებშიც ცხოვრობენ ახლა მილიონობით უბრალო ადამიანები კაპიტალის ქვეყნებში. საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად შეითვისოს, თუ რა მისცეს მას რევოლუციამ, კომუნისტების პარტიამ, დიდმა მასწავლებლებმა, ჩვენი უძლეველი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბელადებმა და შემქმნელებმა ლენინმა და სტალინმა. ამას უნდა განუმარტავდნენ დაუცხრომლად, განუმარტავდნენ დამეჯითებით.

შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ყველა კომკავშირული ხელმძღვანელი ითვალისწინებს ჩვენი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამ მხარეს? სამწუხაროდ, არა. აქედან წარმოდგება ზოგჯერ ზერელე მიდგომა იმ გააფთრებულ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხებისადმი, რომელსაც იმპერიალისტები ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლების მეთაურობით ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ. აქედან წარმოდგება უდარდელობა და დოყლაპიობა, იმის დავიწყება, რომ ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ, მუდამ ვაძლიერებდეთ პოლიტიკურ სიფხიზლეს, შემტევი გავხადოთ იგი. საჭიროა თვითეული ჩვენი საწარმო, თვითეული საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, თვითეული მანქანა-ტრაქტორთა სადგური, თვითეული დაწესებულება გადავაქციოთ საბჭოთა ხელისუფლების მიუვალ ციხე-სიმაგრედ, მზად ვიყოთ ჩავშალოთ მტრის ყოველი, უაღრესად ვერაგული, უაღრესად მზაკვრული და ბილწი განზრახვა.

ახალგაზრდობას კონკრეტული მაგალითებით უნდა განუმარტავდეთ, რომ საჭიროა პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერება მუშაობის ყველა უბანზე. სიფხიზლე თვითეული საბჭოთა მოქალაქის წმიდა მოვალეობაა. თვითეული ჩვენგანი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს. ახალგაზრდობასთან ამ თემაზე საუბრებში შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი, რომელიც ნათლად, დამჯერებლად მოწმობს პოლიტიკური სიფხიზლის მნიშვნელობას. იმისათვის, რომ ავაშენოთ, ვთქვათ, დიდი ქარხანა, საჭიროა ათეულ მილიონობით მანეთი, დიდძალი საშენი მასალები და ადამიანის ბევრი შრომა, ამ ქარხნის ასაფეთქებლად კი საკმარისია ერთი ან ორი დივერსანტი თუ მავნებელი.

უნდა ითქვას, რომ ზოგან გავრცელებულია კლასობრივი ბრძოლის „ქრობის“ დამპალი, ანტიმარქსისტული თეორია. კომკავშირში ჯერ კიდევ არიან დოყლაპიები, უდარდელი და პოლიტიკურად ბრმა ადამიანები.

ჩვენმა ქვეყანამ, მსჯელობენ ისინი, უდიდესი გამარჯვება მოიპოვა სამამულო ომში, გაანადგურა ყველაზე ძლიერი მტერი, როგორიც კი ისტორიის მთელ მანძილზე ჰყოლია, გამარჯვების შემდეგ იგი გაცილებით უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ომამდე იყო, — ვინღა გაბედავს თავს დაგვესხას?

მათ ავიწყდებათ, რომ სანამ არსებობს კაპიტალიზმი, იქნება ომებიც, რომ ამერიკის იმპერიალიზმი, მხედველობაში იღებს რა ჩვენს ძალას, ცდილობს შეაკოწიწოს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების ფართო კოალიცია. მზაკვრობა, ვერაგობა, ჯაშუშობა, დივერსიები მუდამ ასრულებდნენ და კვლავაც შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს იმპერიალისტების მზადებაში ომისათვის. ამის გაგება არ შეუძლიათ ან არა სურთ კლასობრივი ბრძოლის „ქრობის“ თეორიის მომხრეებს.

საქართველოს კომკავშირში ცოტა როდი იყო დოყლაპიები. ეს ძირად დაუჯდათ კომკავშირულ ორგანიზაციებს. დოყლაპიობამ და უდარდელობამ შექმნა პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო იმას, რომ საქართველოს კომკავშირის ზოგიერთ ხელმძღვანელ ორგანოში და მის ცენტრალურ კომიტეტშიც კი შეიპარნენ საბჭოთა წყობილებისადმი მტრული ადამიანები. ისინი კომკავშირულ ორგანიზაციებში ნერგავდნენ უდარდელობისა და პარადული კეთილდღეობის ატმოსფეროს. კომკავშირის კომიტეტების პლენუმები და აქტივის კრებები ბევრ ორგანიზაციაში ატარებდა არა საქმიან, არამედ პარადულ-საზეიმო ხასიათს. ყოველივე ეს ადუნებდა კომკავშირელთა პოლიტიკურ სიფხიზლეს, უადვილებდა მტრულ ელემენტებს იმის შესაძლებლობას, რომ თავიანთი საზიზღარი ძირგამომთხრელი მუშაობა ეწარმოებინათ კომკავშირში.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა ამხილონ კლასობრივი ბრძოლის „ქრობის“ ანტიმარქსისტული თეორია, უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი წარმატებანი იწვევენ ჩვენ წინააღმდეგ კომუნიზმის მტრების ბრძოლის არა ქრობას, არამედ უფრო მეტად გამწვავებას. დაკარგა რა ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ თავისი დასაყრდენი, საერთაშორისო რეაქციამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმის ცენტრი გადაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთან ერთად იგი თავისი ავაზაკური მიზნებისათვის ყოველნაირად იყენებს დამარცხებული ანტისაბჭოთა ჯგუფების ნამსხვრევებს, ადამიანებს, რომელნიც ჩვენთვის უცხო არიან თავიანთი მორალით, თავიანთი განწყობილებებით, ადამიანებს, რომლებიც გამსჭვალული არიან კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით.

„ჩვენი რევოლუციით, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უფრო მეტად, ვიდრე ყოველი სხვა რევოლუციით, დაღასტურდა ის კანონი, რომ რევოლუციის ძალა, მისი შეტევის ძალა, ენერგია, სიმტკიცე და მისი გამარჯვების სიდიადე ამასთან ერთად აძლიერებს ბურჟუაზიის მხრივ წინააღმდეგობის ძალას“.

ამხილებდა რა კლასობრივი ბრძოლის „ქრობის“ ანტიმარქსისტულ თეორიას, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ეს არა მარტო დამპალი თეორიაა, არამედ საშიში თეორიაც არის, ვინაიდან იგი აძინებს ჩვენს ადამიანებს, ხაფანგში აბამს მათ, კლასობრივ მტრის კი შესაძლებლობას აძლევს წელში გაიმართოს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად“.

სანამ არსებობს იმპერიალისტური სამყარო, ჩვენი მტრები განუწყვეტლივ ეცდებიან შემოგზავნონ ჩვენში თავიანთი ჯაშუშები, დივერსანტები, მავნებლები, ტერორისტები.

მართალია, სსრ კავშირში ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიღია ბოლო ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებისათვის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთებისათვის, რომ ჩვენ შორის არიან ბურჟუაზიული შეხედულებებისა და ბურჟუაზიული მორალის მალული მატარებლები — ცოცხალი ადამიანები, — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის ფარული მტრები. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების სადაზვერვო ორგანოები ცდილობენ სწორედ ისინი გამოიყენონ თავიანთი საზიზღარი მიზნებისათვის. შათთვის განძს წარმოადგენენ ყოველგვარი გადაგვარებულნი, გახრწნილი და ამორალური ადამიანები, რომლებიც ადვილად ეგებიან უცხოეთის სახელმწიფოთა დაზვერვის აგენტების ანკესზე.

„კომუნისტების სიფხიზლე, — ნათქვამია ჩვენი პარტიის წესდებაში, — აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში“.

მაგრამ სიფხიზლე ადამიანებს „დაბადებითვე“ როდი დაჰყვებათ. სიფხიზლე უნდა შეგვეძლოს აღვზარდოთ ისევე, როგორც კომკავშირული მუშაკის ბევრი სხვა თვისება. პარადულობა, უდარდელობა, წარმატებებით დატკბობა, ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება და თავგასულობა ადუნებს სიფხიზლეს, იწვევს საბოლოო ანგარიშით პოლიტიკურ სიბრმავეს.

პარტიის XIX ყრილობამ მოითხოვა, რომ ბოლო მოეღოს თვითკმაყოფილების, თვითდამშვიდების განწყობილებებს, პარადულობისა და უდარდელობის გამოვლინებებს, რომლებიც მავნეა, საშიშია ჩვენი საქმისათვის. ამ სენის წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს ნაცადი საშუალება: თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა.

კომკავშირულ კადრებს უნდა ვზრდიდეთ თავიანთი მუშაობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების სულისკვეთებით, რა დიდიც უნდა იყოს წარმატებანი, კომკავშირული მუშაკი მათს იქით უნდა ხედავდეს ნაკლოვანებებს, ააშკარავებდეს და სპობდეს მათ. კომკავშირში უნდა შეექმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ გაიშალოს საქმიანი, გაბედული კრიტიკა, კრიტიკა „განურჩევლად პიროვნებისა“.

ქვემოდან კრიტიკა პარტიის მიერ კომკავშირის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა. მაგრამ იგი შეიძლება ვითარდებოდეს მხოლოდ იქ და მხოლოდ იმ პირობით, როცა ყოველი ადამიანი, რომელიც სწორი კრიტიკით გამოდის, დარწმუნებული იქნება, რომ მას მხარს დაუჭერენ, რომ მის მიერ მითითებული ნაკლოვანებანი აღმოიფხვრება. სადაც კრიტიკას ახშობენ, იქ გარდუვალია უძრაობა მუშაობაში, ობივატელური თვითდამშვიდება და, როგორც ამის შედეგი, დიდი შეცდომები, ჩავარდნები.

კომკავშირული კადრები არა მარტო უნდა ასწავლიდნენ ახალგაზრდობას, არამედ თვითონაც სწავლობდნენ მისგან. კომკავშირულ მუშაკს უნარი უნდა ჰქონდეს ყურს უგდებდეს კრიტიკის ხმას, მასების ხმას, ქვემოდან, რიგითი კომკავშირელებისაგან მომდინარე ყველა სიგნალსა და წინადადებას, შეავსებდეს თავის გამოცდილებას მასების გამოცდილებით. იგი უნდა განირჩეოდეს უბრალოებით, თავმდაბლობით მუშაობაშიც და ყოფაცხოვრებაშიც. მასებისაგან მოწყვეტა იწვევს თავგასულობას, გაბიუროკრატებას, იმის უნარის უქონლობას, რომ დროზე გამოეხმაურო, სათავეში ჩაუდგე კომკავშირელების, ახალგაზრდობის ინიციატივას.

ამ მხრივ საგულისხმოა კომკავშირის ონის რაიკომის ყოფილი მდივნის ამხ. გოშაძის მაგალითი. იგი უხეშად თელავდა შინაკომკავშირულ დემოკრატიას, არღვევდა პლენუმებისა და აქტივების მოწვევის ვადებს და ამით უსპობდა კომკავშირელებს რაიკომის და პირადად მის ნაკლოვანებათა გაკრიტიკების შესაძლებლობას, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კომკავშირელებში, ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას, არ დადიოდა პირველადს ორგანიზაციებში. იგი მოსწყდა მასებს, გაბიუროკრატდა, ხელმძღვანელობაში კოლეგიალობის პრინციპი შეცვალა შიშველი ადმინისტრირებით. ამის შედეგად კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ჩაიშალა. კომკავშირელთა შორის დისციპლინა დაეცა. სკოლებში წარმატება მკვეთრად შემცირდა. შემცირდა საკოლმეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩაბმულ კომკავშირელ კოლმეურნეთა რაოდენობა. ნაცვლად იმისა, რომ ყური დაეგდო კრიტიკის ხმისათვის, გამოესწორებინა მდგომარეობა, კომკავშირის რაიკომი შეუდგა თავისი მუშაობის ჩავარდნების დაფარვას თვალისახვევით. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ გოშაძე როგორც ახალგაზრდობის ხელმძღვანელი გაკოტრდა და მოხსნილ იქნა სამუშაოდან.

საჭიროა, რომ კომკავშირული ხელმძღვანელები მომთხოვნელნი იყვნენ თავიანთი თავისადმი, თავიანთი მუშაობისადმი, რომ ისინი კრიტიკულად აფასებდნენ თავიანთი საქმიანობის შედეგებს. საჭიროა ისე მუშაობა, რომ დღევანდელი შედეგები გუშინდელზე უკეთესი იყოს, ხვალინდელი კი — დღევანდელზე უკეთესი.

მუშაობის სტალინური სტილი, რომელსაც მოვალეა დაეუფლოს ყოველი ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკი, ყოველი კომკავშირელი, შეიცავს მძლავრ რევოლუციურ გაქანებას, გამრჯეობას, ინიციატივას, სიმტკიცეს, ბეჯითობას, ყოველი დაწყებული საქმის აუცილებლად ბოლომდე მიყვანას. უნდა ვმუშაობდეთ ბეჯითად და მტკიცედ, უხმაუროდ, მუყაითად და გამრჯედ, არ ვთაკილობდეთ შავ პრაქტიკულ სამუშაოს, არ გვეშინოდეს სიძნელეების, ვინაიდან კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ყოველ მუშაობაში სიძნელეთა მუდმივად, შეუპოვრად დაძლევის პროცესში. ნამდვილ ხელმძღვანელ კომკავშირულ მუშაკს სიძნელეებისა არ ეშინია, ხოლო წარმატებანი თავბრუს არ ახვევენ, არ ადუნებენ მას. პირიქით, ისინი მის ნებისყოფასა და ენერგიას წარმართავენ ახალ სიძნელეთა დასაძლევად, ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაკომკავშირული მუშაობის დონე საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ზოგიერთ რგოლში ჩამორჩება პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. ეს იმის პირდაპირი შედეგია, რომ ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებენ ყველა კომკავშირელის ჩაბმას აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, შინაკომკავშირულ მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენენ თავს კომკავშირის კომიტეტების მხრივ პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, იმის დავიწყება, რომ სწორედ პირველადი ორგანიზაციები წარმოადგენენ კომკავშირის საფუძველს.

კომკავშირის რაიონული, საქალაქო და თვით საოლქო კომიტეტების ზოგიერთი მდივანი თავის მუშაობაში არ ეყრდნობა კომკავშირულ აქტივს, ურთიერთობა არა აქვს რიგითს კომკავშირელებთან, არ მიმართავს მათს დახმარებას. ისინი ყველა საკითხს წყვეტენ ხელმძღვანელ მუშაკთა ვიწრო წრეში ან ერთპიროვნულადაც კი. ეს იწვევს ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის დავიწყებას, როგორიც არის კომკავშირული აქტივის აღზრდა, იწვევს შეცდომებს პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში. ასეთ ვიწრო წრეში, წინასწარი კოლეგიალური განხილვისა და შესწავლის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად ცალმხრივია, ფორმალური ხასიათისაა. ასეთი გადაწყვეტილებანი ხელს არ უწყობენ საქმის გაუმჯობესებას, იწვევენ ხელმძღვანელობის მოწყვეტას პირველადი ორგანიზაციებისაგან და საბოლოო ანგარიშით მუშაობის ჩაშლას.

ხშირად ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები სისტემატურად და დროულად არ აცნობენ კომკავშირის აქტივს, კომკავშირელებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, ივიწყებენ იმას, რომ ეს მათ უსპობს მიზანსწრაფვას მუშაობაში.

ცალკეული კომკავშირული ხელმძღვანელები ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმესაც ივიწყებენ, როგორიც არის პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. ასეთი ხელმძღვანელები იშვიათად დადიან ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობა მათ ჩვეულებრივად მხოლოდ შორიდან ეცნობა, მაშინ, როცა მათ პრეზიდიუმის მაგიდასთან ხედავს. ეს კომკავშირული „დიდკაცები“, როგორც წესი, ახალგაზრდობის კრებებზე პოლიტიკურ მოხსენებებს არ აკეთებენ, ახალგაზრდობას არასოდეს არ ესაუბრებიან და-მის შესახებ სხვადასხვა ნაკრები ცნობების მიხედვით მსჯელობენ.

ავიღოთ, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონი. აქ კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. ლომიძე მოსწყდა ახალგაზრდობას, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ იგი, ნაცვლად იმისა, რომ პირველ რიგში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და განათლების, მისი პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერების საკითხებზე ემუშავნა, ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკური მოხსენებებით გამოსულიყო, აწყობდა ლექციებს ისეთ თემებზე, როგორიც არის... „ვიტამინები და მათი მნიშვნელობა“, „ადამიანის ნაწლავთა პარაზიტები“ და სხვ. ახალგაზრდობის ამ „აღმზრდელმა“ 1952 წლის განმავლობაში წაიკითხა მხოლოდ ერთი ლექცია, და ისიც თემაზე: „საჭმლის მომნელებელი აპარატი“. დამახასიათებელია — არც ერთი ლექცია პოლიტიკურ თემაზე. განა ეს უკიდურესი უმსგავსობა არ არის?

თქმა არ უნდა, ლექციები სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემებზე, მათ შორის სამედიცინო თემებზეც, სასარგებლო და საჭიროა, მაგრამ კომკავშირის რაიკომის მდივანი უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე უნდა მუშაობდეს.

ნამდვილი კომუნისტი მუშაკის თვისებები შეიძინება მთელი მისი საქმიანობის პროცესში, ყალიბდება პოლიტიკური აღზრდის მთელი სისტემით. პარტიული ხელმძღვანელობა მთავარია კომკავშირის მუშაობაში, კადრების მორალურ-პოლიტიკური აღზრდის სკოლაა, მუშაობის ლენინურ-სტალინური სტილის სკოლაა.

ყოველივე ეს დიდ, პასუხსაგებ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ კომიტეტებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ხელმძღვანელობაში, ახალგაზრდობის ორგანიზაციაში, მის დარაზმვაში პარტიის მითითებათა, გენიალური ბელადისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის მითითებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

მრავალი წლის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები კარგად ახორციელებენ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას და უწევენ მათ ყოველდღიურ დახმარებას, იქ კომკავშირული მუშაობაც კარგად არის დაყენებული. და პირიქით, იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია ცუდად ხელმძღვანელობს კომკავშირულ ორგანიზაციებს, იქ მუშაობა ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

პარტიული კომიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ კომკავშირული კადრების, ყველა კომკავშირელის იდეურ-თეორიულ გამოწრთობასა და ზრდას.

უკანასკნელ ხანს საქართველოში კომკავშირის წევრთა პოლიტიკური განათლება პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პოლიტგანათლების კომკავშირულ ქსელში სწავლობს 98 ათასზე მეტი ჰაბუკი და ქალიშვილი, მათ შორის თორმეტ ათასამდე კომკავშირგაერეში ახალგაზრდა; ცამეტი ათასზე მეტი ჰაბუკი და ქალიშვილი მუშაობს პოლიტიკურ თვითგანათლებაზე, ოცდახუთი ათასზე მეტი კომკავშირელი სწავლობს პარტიული განათლების ქსელში. გარდა ამისა, 24 ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკი სწავლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე და 39 — მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში.

დიდი ყურადღება ექცევა ლექციურ პროპაგანდას. პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილი ხნის მანძილზე რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის წაკითხულია ხუთი ათასამდე ლექცია და მოხსენება, მათ შორის ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი, ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვისადმი და ი. ბ. სტალინის კლასიკური შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიძღვნილი ბევრი ლექცია და მოხსენება. ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, კომკავშირული მუშაკები და მეცნიერები.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება კომკავშირული კადრების პირველხარისხოვანი ამოცანაა, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია წინსვლა, შეუძლებელია არსებითად ჩაუდგე სათავეში ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმეს, უზრუნველყო მთელი კომკავშირული მუშაობის შემდგომი აღმავლობა. კომკავშირი პარტიის რეზერვია. პარტია თავის კადრებს მნიშვნელოვანწილად კომკავშირული აქტივიდან იღებს. პარტიული კომიტეტები მუდამ უდიდეს ყურადღებას უნდა აქცევდნენ კომკავშირელთა იდეურ აღზრდასა და პოლიტიკურ გამოწრთობას.

უკანასკნელ ხანს ჩვენში შესამჩნევად გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი. კომკავშირმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ამხილა ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებში შეპარული მტრული ელემენტები, გაწმინდა მათგან თავისი რიგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი კადრებით განამტკიცა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და ხელმძღვანელი ორგანოები.

რესპუბლიკაში ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე უკანასკნელ ხანს დაწინაურებულ იქნა ოთხმოცდაჩვიდმეტი კაცი. ესენი არიან პოლიტიკურად მომზადებული, პარტიისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი ბოლომდე ერთგული მუშაკები. მათი უმრავლესობა ზუსტად, განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის მითითებებს, თავს ართმევს დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანებს. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ პრაქტიკული, ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკმაო გამოცდილება. მაგრამ გამოცდილება შეძენის საქმეა. იგი შეიძინება პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული ორგანიზაციების ქმედითი დახმარებით. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ბევრი ჩვენი პარტიული კომიტეტი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი ინტერესს იჩენდა მხოლოდ როცა შემთხვევა მოიტანდა, ახლა მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. პარტიული კომიტეტების უმრავლესობამ თავის პლენუმებზე უკვე განიხილა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხები. პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები ყოველდღიურად მუშაობენ ამ საკითხზე, ინსტრუქტაჟს უწევენ კომკავშირულ მუშაკებს, განუმარტავენ მათ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, აძლევენ ინფორმაციას და არკვევენ სსრ კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში. პარტიული კომიტეტის მდივნის კაბინეტის კარი მუდამ ღიაა კომკავშირული მუშაკებისათვის.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა აყვანილ უნდა იქნას იმ ახალი დიდი ამოცანების დონეზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დაუსახეს პარტიის XIX ყრილობამ, ამხანაგმა სტალინმა. იმისათვის, რომ წარმატებით, ნამდვილად განხორციელებულ იქნას პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი და ამასთან გათვალისწინებულ იქნას ახალგაზრდობაში მუშაობის სპეციფიკა, საჭიროა, რომ პარტიულმა მუშაკებმა თვითონ კარგად იცოდნენ პარტიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის მითითებანი, რომლებიც ახალგაზრდობას ეხება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილება კომკავშირული მუშაობის საკითხებზე. კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ იქნება კონკრეტული, საგნობრივი, მიზანმიმსწრაფი, მხოლოდ მაშინ ამაღლდება თანამედროვე მოთხოვნების დონემდე.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა მისი მუშაობის ყველა წარმატების საფუძველია. მუდამ ახსოვს რა ეს, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია რაზმავს კომკავშირელებს, საქართველოს მთელ მშრომელ ახალგაზრდობას პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, დიად სამუშაოთა სტალინური გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

„...აშენეთ და განამტკიცეთ განთავისუფლებული შრომისა და კომუნიზმის ახალი სამყარო, — ამბობდა ამხანაგი ი. ბ. სტალინი, მიმართავდა რა საკავშირო ალკკ VII სრულიად საკავშირო კონფერენციას, — ისწავლეთ შეაერთოთ მთელ თქვენს მუშაობაში მძლავრი რევოლუციური გაქანება ბოლშევიკი მშენებლების შეუპოვარ საქმიანობასთან, იყავით ჩვენი დედის — სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ღირსეული ვაჟიშვილები და ქალიშვილები!“.

საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის, ახალგაზრდობის ბრძენი მასწავლებლისა და მეგობრის, მშობლიურ ამხანაგ ი. ბ. სტალინის ეს სიტყვები გზას უნათებენ კომკავშირს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის დიად ბრძოლაში.

„კომსომოლსკაია პრავდა“ 19/II.

ფორმალიზმი მეცხოველეობის განვითარებაში

მეცხოველეობის განვითარების დიდი შესაძლებლობაა სიღნაღის რაიონში, მაგრამ იგი სათანადოდ არ არის გამოყენებული.

რაიონში იშვიათია ისეთი კოლმეურნეობა, სადაც წარმატებით იყოს შესრულებული მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები. კოლმეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას მეტიზაციის გზით და ბაგური კვებისა და მოვლის სისტემის დანერგვას. სუსტად ხორციელდება მოწინავე ზოოტექნიკისა და ვეტერინარიის მოთხოვნები, პროფილაქტიკური, სამკურნალო და ეპიზოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. სუსტად არის მოგვარებული ჯოგის მომრავლება, საკუთარი ნამატის შენარჩუნება-გაზრდის გზით.

მართალია, მარტო გასული წლის მანძილზე პარტიის რაიონულმა კომიტეტმა 30-ჯერ განიხილა მეცხოველეობის განვითარების საკითხი, იგი ხშირად იყო მსჯელობის საგანი რაისაბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმზეც, დადგენილებებიც მიიღეს, მაგრამ ამის გამო, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე, მათს პრაქტიკულად განხორციელებაზე ნაკლებად იზრუნეს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქაღალდზე დარჩა.

ჩანს, რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები ხშირად თვითონვე არ სცემენ პატივს თავიანთ დადგენილებებს, ღრმად არ სწვდებიან, ანალიზს არ უკეთებენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას, სათანადო ზომებს არ იღებენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებაში კმაყოფილდებიან რაიონული საშუალო მაჩვენებლებით, რომელთა უკან იფარება მთელი რიგი კოლმეურნეობების ჩამორჩენა.

ფაქტები მოწმობენ, რომ დავალებებს ასრულებენ ის კოლმეურნეობები, სადაც მაღალია პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა მუშაობაში, მტკიცეა საწარმოო დისციპლინა, სადაც ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება. ბევრს სწორედ ეს აკლია სიღნაღის რაიონში. სხვანაირად არ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ 18 კოლმეურნეობიდან 11 კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა არ არის შესრულებული. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში „ლენინის გზით“ გეგმის შესრულებას 204 სული მსხვილფეხა პირუტყვი დააკლეს. ხელმძღვანელთა ნაკლებ მზრუნველობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ რაიონში მხოლოდ ერთ კოლმეურნეობას — წინორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს ძროხები სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით. ზოგან ძროხების დანაკლისი 100 სულს აღემატება.

მეღორეობასა და მეცხენეობაში, მართალია, მთლიანად რაიონში წლიური დავალება განაღდებულია, მაგრამ ეს უმთავრესად მიღწეულია მოწინავეთა ხარჯზე, რომელთა უკან ჩამორჩენილები არიან. კოლმეურნეობათა თითქმის ერთ მესამედს ცხენი გათვალისწინებულ რაოდენობაზე ნაკლები ჰყავს. ცალკეული კოლმეურნეობები განსაკუთრებით ჩამორჩნენ ღორის მოშენებაშიც, მაგრამ მათ პასუხს ნაკლებად სთხოვენ, რადგან რაიონის საშუალო მაჩვენებლებით დაკმაყოფილების განწყობილება, ჩანს, აქ დიდ პატივშია.

მეტად ცუდი მდგომარეობაა მეფრინველეობაში. ფერმებში მოუგვარებელია ფრინველის ნორმალური კვება, გაზრდა და დაცვა. ბევრგან შესაფერისი საფრინველეც არ არის.

ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობია ნამატის გაზრდაში, მოუვლელობით ათეულ ათასობით ფრთა მოზარდი დაიხოცა. დიდია აგრეთვე მოზრდილი ფრინველის, მათ შორის ინდაურის დანაკლისი. რაიონში არ არის ისეთი კოლმეურნეობა, სადაც მეფრინველეობის განვითარების 1952 წლის გეგმის შესრულება 60 პროცენტს მაინც აღწევდეს. ზოგან ფრინველი თითქმის სრულებით არა ჰყავთ, თუმცა გეგმით ასობით და ათასობით ფრთის მოშენება ევალებათ. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ინდაურის მოშენება.

ცუდი მოვლა-შენახვის გამო კოლმეურნეობებმა ბევრი პირუტყვი დაკარგეს. მარტო სოფელ მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში წლის მანძილზე დახოცილი პირუტყვის რაოდენობამ 28 პროცენტს მიაღწია, სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 27 პროცენტს.

უფრო ცუდი ის არის, რომ, თუ დროზე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები, მსგავსი ფაქტები მოსალოდნელია გამეორდეს. ეს მით უფრო უნდა მივიღოთ მხედველობაში ახლა, როცა კოლმეურნეობებს მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლიათ უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები.

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი პროდუქტიულობის გადიდებაზე. ამ მხრივაც ჩამორჩენა მეტად დიდია. მეძროხეობაში წველადობის წლიური დავალება სანახევროდაც არ არის განაღდებული, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ანაგის, მაჩხაანის, მაღაროს, საქობოს და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. პროდუქტიულობა მეტად დაბალია აგრეთვე მეფრინველეობაში.

ყველაფერი ეს კარგად იციან პარტიის სიღნაღის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მახარაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. ბიძინაშვილმა და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ხოსიტაშვილმა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მკვეთრი გარდატეხის მოხდენა ამ საქმეში.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ტ. თოდრაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



თბილისი. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე ამწყობებმა ა. ბენდიანიშვილმა (მარცხნივ) და ი. ფირცხალავამ იანვარში თვითეულმა 2,5 თვის ნორმა შეასრულა. ისინი წარმატებით განაგრძობენ მუშაობას არჩევნების დღის — 22 თებერვლისათვის ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად.

ფოტო ვ. ზარიძისა.

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება 1953 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის

იანვარში მუშაობის შედეგები

რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო კომიტეტმა და გზის ხელმძღვანელობამ შეაჯამეს ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების იანვრის შედეგები. ეს სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღებულ იქნა იანვრის პირველ ნახევარში ხუთშაბათის მესამე წლის — 1953 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად. რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ იანვარში მუშაობის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მიაკუთვნა:

სადგურ **სუხუმის** (უფროსი შ. ბარამია) და სადგურ **ჰიათურის** (უფროსი მ. გეგია) კოლექტივებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები, **თბილისის სატვირთო სადგურის** (უფროსი მ. გზირიშვილი) კოლექტივს, რომელმაც დატვირთვის თვიური დავალება გაანაღდა 114,8 პროცენტით, ხოლო გადმოტვირთვისა — 103,3 პროცენტით, **თბილისის სამგზავრო-სავაგონო უბანს** (უფროსი ა. მორჩაძე) და **თბილისის სამგზავრო-სავაგონო დეპოს** (უფროსი მ. პეტრენკო), **ხაშურის სალიანდაგო** (უფროსი ვ. გოგიჩაიშვილი) და **ბორჯომის სალიანდაგო** (უფროსი დ. ჭურაძე) დისტანციათა კოლექტივებს; **სუხუმის ვაგზლის** კოლექტივს (უფროსი ვ. ბოკერია) და **ბათუმის გამცილებელთა რეზერვს** (უფროსი განმრიგებელი ამხ. ჯანუაშვილი); **შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორას** (უფროსი ლ. ქლიბაძე) და რკინიგზის **სუხუმის განყოფილების** მუშათა მომარაგების განყოფილებას (უფროსი გ. ხარაბაძე); ამიერკავკასიის რკინიგზის **საავეჯო ფაბრიკის** (უფროსი ა. ადამაშვილი) და **კელასურის საკარიერო მეურნეობის** (უფროსი ამხ. გაგუა) კოლექტივებს.

იანვრის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე გამოვიდნენ: ზესტაფონის საელმავლო დეპოს, სუხუმის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის, შენობათა და ნაგებობათა თბილისის დისტანციის, ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციის, ეშერის კარიერის და გურჯაანის ვაგონთა შესამოწმებელი პუნქტის კოლექტივები, ხოლო მესამე ადგილზე — სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის თბილისის დისტანციის, სამტრედიის საგზურისა და ფოთის ვაგონთა შესამოწმებელი პუნქტის კოლექტივები.

გადაწყვეტილია 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის რკინიგზელთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება მოხდეს ყოველი თვის ბოლოს.

მოწინავე ახალციხელ მეშახტეთა მაჩვენებლები

ახალციხის შახტსამმართველოს მეორე შახტის კოლექტივმა გამართულად და კარგად დაიწყო 1953 წლის საწარმოო გეგმების შესრულება. შახტში დაწინაურდა ის უბანი, რომელსაც ინჟინერი დ. მჟავანაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების იანვრის დავალება წარმატებით გაანაღდა. თავი ისახელეს მნგრეველებმა — გ. საგატელიანმა, ა. ტაშიანმა, ს. ეგიაზარიანმა, რომლებიც ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

კარგად იწყო მუშაობა ინჟინერ გ. ჯიშკარიანის უბნის კოლექტივმაც. აქ იანვრის დავალება პირნათლად გაანაღდეს. ამ უბანზე ქვანახშირის ამოღებაში დაწინაურდნენ მნგრეველები — ა. შუბითიძე, ხ. აგაჯანიანი და ა. პროსკუდინი.

ვ. მესხიძე.

ერთი ადგილი ბიბლიოთეკიდან

საეჭვო ცანცარა...

— თამარა მიხაილოვნა, გურგენ რუბენჩმა შემოგიგზავნა, სასწრაფოდ 3.500 მანეთი მომაშველეო...

— რა მეხი დაგვეცა, ქალბატონო? — შეშინებული ხმით წამოიძახა თამარამ.

— მეხი კი არა, მეხზე უარესი. მოულოდნელად რევიზია მოვიდა, გურგენს დანაკლისი აღმოაჩნდა, აქტს შეუდგენენ, სასამართლოს გადასცემენ, დაპატიმრებენ; ხომ იცით, რა მკაცრად სჯიან ახლა სახელმწიფო ქონების გამნიავებლებს...

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ... მე თითქოს ვგრძნობდი, რომ ასე მოხდებოდა. მაგრამ ყველა უნდა დამეხმაროს, მიშველონ მეგობრებმა, ამხანაგებმა, მეზობლებმა. ახლა გამოჩნდება, ვინ არის ჩემი მტერი და მოყვეთე, — სულმოუთქმელად ლაპარაკობდა თამარა მიხაილოვნა.

გაჭირვებული კაცი ზღვაში გვავო, — ნათქვამია. დატრიალდა თამარი, სწრაფად გააჩინა ფული და თავისი მეუღლის, თბილისის საიუველირო მაღაზიის თანამშრომელ გურგენ რუბენის-ძე სულთანიანისათვის გადასაცემად უცნობ ქალს 3.500 მანეთი ჩაუთვალა, თან დიდი მადლობა გადაუხადა და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მის მეუღლეს ასეთი ერთგული მეგობარი აღმოაჩნდა. უცნობი ქალი საქმიანი სახით გამოვიდა სულთანიანების ბინიდან, ჩაჯდა ავტომანქანაში და წავიდა... აღსანიშნავია, რომ თამარა მიხაილოვნას არც კი უკითხავს — ვინ იყო ეს ქალი, რომელსაც ის პირველად ხედავდა.

ერთი საათის შემდეგ თამარა მიხაილოვნა მაღაზიაში გამოცხადდა, კედელს შეუმჩნეველად მიეკრა. იგი მისჩერებოდა ქმარს, რომელიც ჩვეულებრივ მუშაობას განაგრძობდა. თამარი თვალით რაღაცას ანიშნებდა გურგენს, ცერ თითს აჩვენებდა, ამხნევებდა, თან სურდა მის სახეზე ამოეკითხა — თუ რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო რევიზიის მოულოდნელად მოსვლა. გურგენ რუბენჩს ვერ გაეგო ცოლის უცნაური ქესტები, და როცა გაიკვა, რაც მოხდა, ორივენი სახტად დარჩნენ...

ეს სცენა გასული წლის 4 სექტემბერს გათამაშდა. ამავე დღეს დაპატიმრეს უცნობი ქალი — რიტა (იგივე რუთი) რაფიელის ასული იაკობაშვილი. გამოირკვა, რომ რიტა იაკობაშვილი თბილისში სისტემატურად ეწეოდა მოქალაქეებისაგან ფულის გამოტყუებას. იგი „სპეციალდებოდა“ ვაჭრობის მუშაკების ცოლების დამუშავებაზე.

რიტა იაკობაშვილი, ვითომდა თანამდებობის პირი, დადიოდა სავაჭრო ორგანიზაციებში (თბილუნივერმაღის № 5 ფილიალი, თბილვაჭრობის მაღაზია „ბავშვთა სამყარო“, თბილისის საიუველირო მაღაზია...) და იქ გარკვეულ, მისთვის საინტერესო ცნობებს აგროვებდა „კადრების შესახებ“. ამ სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი თანამშრომელი, იჩენდა რა დოყლაპიობას, დიდი სიამოვნებით აკმაყოფილებდა უცნობი ქალის ცნობისმოყვარეობას. გაიგებდა თუ არა რომელიმე თანამშრომლის ბინის მისამართს, რიტა, როგორც „მფარველი ანგელოზი“, მოევლინებოდა მის მეუღლეს.

როგორც ჩანს, რიტა იაკობაშვილი არცთუ ისე ცუდად იცნობდა ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკისა და მისი მეუღლის ფსიქოლოგიას. მისი საყვარელი ხერხი იყო მორიგი მსხვერპლის დაშინება მისი მეუღლის სამსახურში თითქოს მოულოდნელად მომხდარი რევიზიით, დანაკლისის აღმოჩენით, აქედან გამომდინარე მოსალოდნელი აქტითა და... ამ ხერხს რიტასთვის გარკვეული „წარმატება“ მოჰქონდა. ამ გზით მან, გარდა სულთანიანის ოჯახისა, დასტყუა ფული მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ პასუხისმგებელ გამყიდველ წილოსანის მეუღლეს — მარიამ წილოსანს. ამ გზით რიტამ სხვებიც მოატყუა...

აფერისტობისათვის რიტა იაკობაშვილმა საბჭოთა კანონის წინაშე პასუხი აგო. მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ: რატომ ასე ცახცახებს ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი და მისი მეუღლე რევიზიის ხსენებაზე?

გ. მუშვილდაძე.

ერთი აღვილად მოსაგვარებელი საკითხის შესახებ

წინათ რაჭაში მიმავალ მგზავრს ფეხით უნდა გადაევლო ნაქერალის უღელტეხილი, რაც ძალიან საძნელო საქმეს წარმოადგენდა. 1937 წელს დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა შესანიშნავი გზა, რომელმაც ორი რაიონი — ტყიბულისა და ამბროლაურის რაიონები დააკავშირა ერთმანეთთან.

მართალია ეს გზა 15 წლის წინათ გაიხსნა, მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დღემდე ვერ მოახერხა ამბროლაურსა და ტყიბულს შორის საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა. ამიტომ არის რომ მგზავრები უმთავრესად ხელში უვარდებიან მოხალტურე ავტომძღოლებს, რომლებიც თავიანთი სურვილისა და მადის მიხედვით აწესებენ მგზავრობის ქირას.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ამბროლაურიდან ტყიბულში მიმავალი მგზავრები. მათ ე. წ. „ხალტურის“ მანქანით მხოლოდ ნახევარი გზის გავლა შეუძლიათ. დანარჩენი გზა ფეხით უნდა გაიარონ, ვინაიდან ტყიბულსა და მუშათა უბანს — მაღაროს შუა რატომღაც შეწყვეტილია ავტობუსების მოძრაობა.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ არანორმალურ მდგომარეობას და დააწესონ ტყიბულსა და ამბროლაურს შუა ავტობუსების მოძრაობა.

შ. გეგეშიძე.

საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა

20 წელი ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვისა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია.

ლენინ — სტალინის პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ გლეხობის ძირითადი მასების მხარდაჭერით განახორციელეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრძნული სტალინური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის გატარებით სოციალიზმმა გაიმარჯვა სოფლადაც. ეს იყო ულრმესი რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო. ამ რევოლუციის შედეგად, უპირველეს ყოვლისა, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე განხორციელდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და ამით მოისპო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციის ეს დასაყრდენი. მეორე, საზოგადოებრივი, სოციალისტური მეურნეობის გზაზე გადაყვანილ იქნა ჩვენი ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი მშრომელი კლასი, გლეხთა კლასი. მესამე, მან საბჭოთა ხელისუფლებას მისცა სოციალისტური ბაზა სოფლის მეურნეობაშიც. ამით ჩვენი ქვეყნის შიგნით მოსპობილ იქნა კაპიტალიზმის რესტავრაციის უკანასკნელი წყაროები და შეიქმნა სოციალისტური სახალხო მეურნეობის აშენებისათვის აუცილებელი ახალი, გადამწყვეტი პირობები.

მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის სამი წლის განმავლობაში შეიქმნა 200 ათასზე მეტი კოლმეურნეობა. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იყო. საჭირო იყო მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების სწრაფი ზრდისათვის.

პარტიამ, დიდმა სტალინმა დასახეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საბრძოლო ამოცანები. ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ამ ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის.

კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა მასების დარაზმვისათვის, მათი აქტივობის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობას, რომელიც 1933 წლის 15-19 თებერვალს მიმდინარეობდა, და ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინის გამოსვლას.

ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში განსაკუთრებული ძალითა და სიღრმით გვიჩვენა ახალი, საკოლმეურნეო წყობილების თავისებურებანი და უდიდესი უპირატესობანი ძველ წყობილებასთან შედარებით, დასახა მისი განმტკიცების ამოცანები. „ძველი წყობილების დროს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — გლეხები მუშაობდნენ ცალცალკე, მუშაობდნენ ძველი მამაპაპური წესებით, შრომის ძველი იარღებით, მუშაობდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, კულაკებისა და სპეკულანტებისათვის, მუშაობდნენ, ცხოვრობდნენ ნახევრადმშიერნი და ამდიდრებდნენ სხვებს. ახალი, საკოლმეურნეო წყობილების დროს გლეხები მუშაობენ ერთად, არტელურად, მუშაობენ ახალი იარღების — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საშუალებით, მუშაობენ თავისთვის და თავიანთი კოლმეურნეობებისათვის, ცხოვრობენ უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ, უკულაკებოდ და უსპეკულანტებოდ, მუშაობენ იმისათვის, რათა დღითიდღე გაუმჯობესონ თავიანთი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა“ (თხზ., ტ. 13, გვ. 255).

თავის გამოსვლაში ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, თუ ნამდვილად რას მიაღწია გლეხობამ, საკოლმეურნეო გზას რომ დაადგა. კომუნისტური პარტია დაეხმარა ღარიბი გლეხობის მილიონიან მასებს შესულიყვნენ კოლმეურნეობებში, განთავისუფლებულიყვნენ კულაკური კაბალისაგან. შეევიდნენ რა კოლმეურნეობებში, ჰქონდათ რა მიწა და წარმოების საუკეთესო იარაღები, ღარიბ გლეხთა მილიონიანი მასები, რომლებიც წინათ ნახევრადმშიერნი ცხოვრობდნენ, ახლა კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილი ადამიანები გახდნენ. სულ ცოტა 20 მილიონი ღარიბი გლეხი პარტიამ კოლმეურნეობების მეოხებით იხსნა სიღატაკისა და განადგურებისაგან, კულაკური კაბალისაგან. ეს ისეთი მონაპოვარი იყო, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს მსოფლიოს და რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში.

ეს იყო პირველი ნაბიჯი, პირველი მიღწევა საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე.

მეორე ნაბიჯი, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო მაღლა ავიყვანოთ კოლმეურნეების — ყოფილი ღარიბი გლეხების და ყოფილი საშუალო გლეხების კეთილდღეობა, გავხადოთ ყველა კოლმეურნე შეძლებული და ყველა კოლმეურნეობა — ბოლშევიკურ კოლმეურნეობად.

ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადით დაასაბუთა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და საკოლმეურნეო წყობილების პირობებში ამ მიზნის წარმატებით განხორციელების ყოველგვარი საფუძველი არსებობდა. „კოლმეურნეები რომ შეძლებულნი გახდნენ, — მიგვითითებდა ამხანაგი სტალინი, — ამისათვის ახლა საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — პატიოსნად მუშაობა კოლმეურნეობაში, ტრაქტორებისა და მანქანების სწორად გამოყენება, მუშა-პირუტყვის სწორად გამოყენება, მიწის სწორად დამუშავება, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა“ (იქვე, გვ. 264).

ყველა კოლმეურნის პატიოსანი შრომა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის, კოლმეურნეობათა სიმდიდრის და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის საფუძველია. სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან. „სოციალიზმი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — მოითხოვს არა სიზარმაცეა, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანი პატიოსნად შრომობდეს, შრომობდეს არა სხვებისათვის, არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, საზოგადოებისათვის“. (იქვე, გვ. 264-265).

ამ ნათელმა სიტყვებმა კოლმეურნეები აღაფრთოვანა ახალი შრომითი მამაცობისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი დოვლათის გადიდებისათვის საბრძოლველად.

20 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ამხანაგმა სტალინმა წარმოთქვა ისტორიული სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე. ამ ხნის მანძილზე საბჭოთა სოფელმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი გზას უნათებენ საბჭოთა გლეხობას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, საკოლმეურნეო წყობილების ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

საკოლმეურნეო წყობილებამ თავისი მძლავრი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა ცხადყო დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ბელადის მითითებებში იგი იძენდა ძალას საომარი დროის სიძნელეთა გადასალახავად. კოლმეურნე გლეხობა შეუფერხებლად ამარაგებდა საბჭოთა არმიას და მოსახლეობას სურსათით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით.

ომისშემდგომ პერიოდში კოლმეურნე გლეხობამ ახალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში. წარმატებით გადალახა ომითა და 1946 წლის ძლიერი გვალვით გამოწვეული სიძნელენი, მოკლე ვადაში აღადგინა და გადაამეტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ომამდელი დონე. წარმატებითი არის გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა. 1952 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა საბჭოთა კავშირში 8 მილიარდი ფუთი შეადგინა. დიდი წარმატებებია მოპოვებული ბამბის, შაქრის ჭარხლის, ზეთოვანი, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარებაში. დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის აღჭურვას ახალი ტექნიკით. თვალსაჩინოდ გაიზარდა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. ახალ აღმავლობას მიაღწია საზოგადოებრივმა მეცხოველეობამ. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა. კოლმეურნეთა ცხოვრება შეძლებული, საამური გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. 1951 წელს გლეხთა რეალური შემოსავალი, ერთ მომუშაავზე გაანგარიშებით, დაახლოებით 60 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს. საკოლმეურნეო წყობილების ისტორიული გამარჯვებანი დიადი ლენინურ-სტალინური იდეების ზეიმია.

ამხანაგ სტალინის მითითებანი, მის მიერ გენიალურად შემუშავებული მოძღვრება კოლექტივიზაციის შესახებ, საკოლმეურნეო მშენებლობის დიდი ისტორიული გამოცდილება იდეურად აიარაღებენ და ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს მათს ბრძოლაში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ პროგრამულ ამოცანებს, რომლებიც მოცემულია მის ახალ გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ის არის, რომ „...კოლმეურნეობებისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონელმიმოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტგაცვლის სისტემით, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცენტრს შეეძლოს საზოგადოების ინტერესებისათვის მოიცვას საზოგადოებრივი წარმოების მთელი პროდუქცია“. („სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 72-73).

ასრულებენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები დაუღალავად იბრძვიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი, უფრო მძლავრი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის. „პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან, — აღნიშნა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — კვლავაც განუწყვეტლივ იზრუნონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რომელიც კოლმეურნეობათა მთავარ ძალას შეადგენს, და ამის საფუძველზე უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების საქონლიანობის ზრდა და კოლმეურნეების მატერიალური და საერთოდ საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა“.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შემოქმედებითად შრომობენ საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები. ისინი ამრავლებენ წარმატებებს საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე. ეს წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგად რომ არ ყოფილიყო გავრცელებული საკოლმე-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

თურქეთის ბიუჯეტი ომისა და სიღატაკის ბიუჯეტია

სტამბოლი, 19 თებერვალი. (საკდესი). თურქეთის მეჯლისში დაიწყო 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა. ბიუჯეტის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა თურქეთის ფინანსთა მინისტრმა ჰასან პოლატკანმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბიუჯეტის გასავლის ნაწილი დადგენილია 2.123.359.073 ლირის რაოდენობით, ხოლო შემოსავლის ნაწილი — 1.959.854 ათასი ლირის რაოდენობით. ამრიგად, ბიუჯეტის პროექტითვე გათვალისწინებულია დეფიციტი 163,5 მილიონზე მეტი ლირის რაოდენობით.

ახალი ბიუჯეტის სტრუქტურა მოწმობს გამალებული შეიარაღების შედგომ გაძლიერებას, რასაც თურქეთის მთავრობა შეერთებული შტატების კარნახით ახორციელებს, პირდაპირი ასიგნობანი ეროვნული თავდაცვის სამინისტროსათვის წელს 87.300 ათასი ლირით სჭარბობს 1952 წლის ასიგნობებს და შეადგენს 587.300 ათას ლირას. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სამხედრო ხარჯებს, რასაც სხვა სამინისტროებიც ეწევიან, აგრეთვე იმ მოწყალებას, რომელსაც თურქეთი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან იღებს, მაშინ თურქეთის სამხედრო ხარჯები 1953 წელს 1.800 მილიონ ლირაზე მეტი იქნება.

ამის მიხედვით განსაკუთრებით უბადრუკია ასიგნობანი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის.

განათლების უმაღლესი საბჭოს სხდომაზე თურქეთის ეროვნული განათლების მინისტრის თევფიკ ილერის განცხადების თანახმად, სასკოლო ასაკის 2.794 ათასი ბავშვიდან 1.183.576 ბავშვი სკოლაში არ დაიარება. იმისათვის, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვმა ისწავლოს, საჭიროა აგებულ იქნას 17.340 ახალი სკოლა და მომზადდეს 71 ათასი მასწავლებელი. მარტო ამისათვის, მინისტრის სიტყვით, საჭიროა 527.840 ათასი ლირის ასიგნება. 1953 წლის ბიუჯეტის პროექტით კი განათლების სამინისტროს ყველა საჭიროებისათვის ასიგნებულია მხოლოდ 226.300 ათასი ლირა.

მილიონობით თურქ მოქალაქეს შესაძლებლობა არა აქვს თუნდაც სრულიად ელემენტარული სამედიცინო დახმარება მიიღოს. თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ უსტიუნდაგის ცნობებით, თურქეთში მარტო სამედიცინო დახმარების უქონლობით ყოველწლიურად 300 ათასი კაცი კვდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას გამოსულმა თურქეთის გლეხთა პარტიის წევრმა ჯეზმი თურქმა აღნიშნა, რომ მმართველმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს ლოზუნგით „საკმელი მოვიკლოთ და - გავიტანოთ“ დაიწყო მარცვლეულის ექსპორტი, მაშინ როცა თურქეთის 36 ათასი სოფლიდან 16 ათასი სოფლის გლეხები საერთოდ პურს თვალით ვერ ხედავს.

ამერიკის ჯაშუშთა პროცესი ვარშავაში

ვარშავა, 18 თებერვალი. (საკდესი). დღეს ვარშავის რაიონულ სამხედრო სასამართლოში დაიწყო ამერიკის ორი ჯაშუშისა და დივერსანტის — სტეფან სკშიშოვსკისა და დიონიზი სოსნოვსკის პროცესი. ისინი პოლონეთში შემოგზავნეს გასული წლის ნოემბერში ამერიკის სამხედრო თვითმფრინავით. მათ უნდა მოეწყოთ დივერსიები და შპიონაჟი ამერიკის დაზვერვის დავალებით.

საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ამერიკელ იმპერიალისტები ამზადებენ დივერსანტებს, ტერორისტებსა და ჯაშუშებს, აძლევენ მათ სათანადო საჭურველს, ფულსა და ყალბ დოკუმენტებს და გზავნიან პოლონეთში. დივერსანტების, კაცისმკვლელებისა და ჯაშუშების მთავარი მიმწოდებელია პოლონელი ხალხის მოღალატე ემიგრანტთა ხროვა — ეგრეთწოდებული „გენერალური შტაბის“ წარმომადგენლები ანდერსი და კოპანსკი, აგრეთვე ზარემბა, ბიალასი, ბელეცკი, სოიკა, მიკოლაიჩიკი, მაციოლეკი, პოპელი და სხვა აგენტები, რომლებსაც ჯამაგირს აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა.

ბრალდებული სკშიშოვსკი 1945 წლის თებერვალში, ე. ი. ჯერ კიდევ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის დროს გაიპარა პოლონეთის ჯარიდან და მოგონილი გვარით იმალებოდა. 1951 წლის ნოემბერში სკშიშოვსკი, რომელსაც ხელისუფალნი დაეძებდნენ, გაიქცა დასავლეთ ბერლინში, სადაც კონტაქტი დამყარა ამერიკის დაზვერვის ოფიცერთან, ყოფილ სს-ელ „ბენონთან“.

ბრალდებული დიონიზი სოსნოვსკი 1952 წლის იანვარში გაიქცა პოლონეთიდან დასავლეთ ბერლინში, სადაც შევიდა ამერიკის დაზვერვის სამსახურში.

ორივე ბრალდებულმა გაიარა მომზადება სპეციალურ სადივერსიო-საჯაჯუშო სკოლაში, რომელიც ამერიკის დაზვერვამ მოაწყო ერცჰაუზენში მაინის ფრანკფურტის ახლოს.

ამ სკოლაში დივერსანტებს ლექციებს უკითხავდნენ და პრაქტიკულ მეცადინეობას ხელმძღვანელობდნენ ამერიკელი ოფიცრები, ხოლო დივერსანტების მომზადებას კონტროლს უწევდნენ ამერიკელი კაპიტანი, აგრეთვე ემიგრანტები — პოლონელი ხალხის მოღალატეები, ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის აგენტები მაციოლეკი (მეტსახელი „მარეკი“) და ზარემბა.

1952 წლის ოქტომბერში ბრალდებულებმა დამთავრეს სადივერსიო-საჯაჯუშო მომზადების კურსი. 1952 წლის 4 ნოემბერს ბრალდებულები გადაიყვანეს ამერიკის აეროდრომზე ვისბადენში.

ბრალდებულ სტეფან სკშიშოვსკის მისცეს ორი რს-6 ტიპის რადიოსადგური, „პარაბელუმის“ ტიპის რევოლვერი და სპრძოლო მასალა, ქამარი, რომელშიც 75 ათასი ზლოტი იყო, შხამიანი ამპულა, ინსტრუქცია შხამის ხმარებისა და რადიოსადგურის გამოყენების შესახებ, 200 ამერიკული დოლარი ბანკნოტებით, აგრეთვე ყალბი დოკუმენტები.

ბრალდებულ დიონიზი სოსნოვსკის ჰქონდა ერთი რს-6 ტიპის რადიოსადგური, სიგნალიზაციის აპარატი „ბეკონი“, რომლითაც შეიძლება კავშირის დამყარება მიწიდან თვითმფრინავთან, „პარაბელუმის“ ტიპის რევოლვერი, სპრძოლო მასალა, შხამიანი ამპულა, ინსტრუქცია რადიოკავშირგაბმულობის შესახებ, 300 ამერიკული დოლარი, აგრეთვე ყალბი დოკუმენტები.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა, რომელსაც გამოსაცნობი ნიშნები არ ჰქონდა, ორივე დივერსანტი ჩამოუშვა პოლონეთის ტერიტორიაზე კოშალინსკეს სავოევოდოს მიზდოვის მიდამოებში.

ძირს დაშვების შემდეგ ორივე დივერსანტმა დამალა მოტანილი საჭურველი და შემდეგ წამოვიდა პოლონეთის სიღრმეში დივერსიული საქმიანობისა და ჯაჯუშური ქსელის მოსაწყობად. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან იმავე დღეს მიიღეს ცნობა, რომ შემოგზავნილი იყვნენ დივერსანტები.

1952 წლის 6 დეკემბერს ორივე დივერსანტი დაპატიმრეს.

საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ინგლისის საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის 2 ათასმა წევრმა, რომლებიც ბირმინჰამის ფირმა „ოსტინ მოტორსის“ ქარხანაში მუშაობენ, გუშინ გაფიცვა გამოაცხადა იმის წინააღმდეგ ჰროტესტის ნიშნად, რომ ფირმამ უარი თქვა საშუშაოზე აღდგინა საამქროს მამასახლისი ჯონ ჩაკერ.

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ აგრესიულ ბლოკში ჩაითრიონ ავღანეთი

ბეირუთი, 18 თებერვალი. (საკდესი). ლიბანურმა გაზეთმა „ალ-ჰადაფმა“ 17 თებერვალს გამოაქვეყნა ქაბულიდან მიღებული შემდეგი ცნობა:

„ქაბულის პოლიტიკურ წრეებში მიღებული ცნობებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება მისცეს ავღანეთს შეუერთდეს შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკს, რომელიც ახლა იქმნება. ამერიკელებმა წინადადება მისცეს ავღანეთის მთავრობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადოს მეგობრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება, რომელსაც ისინი განიხილავენ, როგორც ამ სამხედრო ბლოკთან ავღანეთის მიმხრობის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს.

ქაბულში გრძელდება საიდუმლო მოლაპარაკება ამ საკითხზე ერთი მხრივ ქაბულში ამერიკის ელჩსა და მეორე მხრივ ავღანეთის პრემიერ-მინისტრ მაჰმუდ-ხანს და საგარეო საქმეთა მინისტრ ალი მუჰამედ-ხანს შორის.

შეთანხმების პროექტი შეიცავს აგრეთვე მუხლებს, რომელთა საფუძველზე ამერიკელებს განსაკუთრებული უფლებები ენიჭებათ ვაჭრობის, ნავთობის საბადოების ძიებისა და ექსპლოატაციის დარგში.

როგორც ქაბულის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, ამერიკის ელჩმა მიიღო პრემიერ-მინისტრის თანხმობა იმაზე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საიდუმლო ოქმის შესაბამისად უფლება მიეცეთ ააშენონ ამერიკის სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ბაზები ავღანეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ რაიონებში“.

საბჭოთა მოციგურავეები შვეიცარიაში

სტოკჰოლმი, 18 თებერვალი. (საკდესი). შვეიცარიის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს ჩენს საბჭოთა მოციგურავეებისადმი, რომლებიც გუშინ სტოკჰოლმს ჩამოვიდნენ ჰელსინკში ციგურაობის მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრების შემდეგ.

გუშინ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც მოციგურავეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. კრივცოვმა და საბჭოთა ოსტატებმა ილაპარაკეს სსრ კავშირში საციგურაო სპორტზე საბჭოთა მოციგურავეების წვრთნის მეთოდებზე. დღეს გაზეთები ათავსებენ ანგარიშებს პრეს-კონფერენციის შესახებ, ოლეგ გონჩარენკოს, ბორის შილკოვისა და საბჭოთა საციგურაო სპორტის სხვა ოსტატების პორტრეტებს.

გუშინ შვეიცის მოციგურავეთა კავშირის თავმჯდომარემ ს. ლოფტმანმა საბჭოთა მოციგურავეების პატივსაცემად დარბაზობა გამართა. დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა მოციგურავეების დელეგაცია, შვეიცის სპორტული საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ელჩი შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვი.

მსოფლიო ჩემპიონი ციგურაობაში ოლეგ გონჩარენკო სხვა მოციგურავეთა შორის გუშინ სტადიონზე გამოვიდა შვეიცის მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე. გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ წერს, რომ გონჩარენკომ აჩვენა მაღალი ოსტატობა და საზოგადოებამ იგი მეტუხარეტაშით დააჯილდოვა.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 18 თებერვალი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მიმდინარეობდა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. პარტიის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ო'კელი (ბელგია) — ლ. საბო (უნგრეთი), ლ. საბომ მოუგო ბარდას (ნორვეგია). ო'კელისთან გადადებულ პარტიაში სპასსკის აყლდა ორი პაიკი. მიუხედავად ამისა, გამოიყენა რა მოწინააღმდეგის მეფის სახიფათო მდგომარეობა, სპასსკიმ მოხდენილი მანევრით ყაიმით დაამთავრა პარტია, ბარდამ მოუგო გოლომბეკს (ინგლისი). რდუღესკუ (რუმინეთი) — ბარკას (უნგრეთი) და შტოლც (შვეცია) — ტროიანესკუს (რუმინეთი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

20 თებერვალს გაიმართება მე-16 ტური.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 18 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 18 თებერვალს გამოაცხადა:

სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ყველა ფრონტზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

კორეელი ხალხი მხარს უჭერს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებებს

ფხენიანი, 18 თებერვალი. (საკდესი). კორეაში ეწყობა კრებები და რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობასთან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე კორეის დელეგაციის წევრთა შეხვედრები. ფხენიანში გაიმართა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების შეხვედრა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე კორეის დელეგაციის მეთაურთან, კორეის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან მწერალ ხან სერ იასთან.

მოისმინეს რა ხან სერ იას მოხსენება კონგრესის მუშაობისა და ხალხთა მშვიდობის დაცვის ისტორიული მოძრაობის შესახებ. კრების მონაწილეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს უფრო ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ამერიკის ხელისუფლებმა დასავლეთ გერმანიაში გაათავისუფლეს სამხედრო დამნაშავე კიუხლერი

ბერლინი, 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტომ გადასცა, დღეს ამერიკის საპყრობილიდან ლანდსბერგში გაათავისუფლეს ჰიტლერული არმიის ყოფილი გენერალ-ფელდმარშალი სამხედრო დამნაშავე გეორგ ფონ კიუხლერი. როგორც უმაღლესი სამოკავშირეო კომისიის ამერიკის ნაწილი იუწყება, კიუხლერი გაათავისუფლეს „პატიოსანი სიტყვით ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობასთან დაკავშირებით“.

ევროპაში დალესის გამგზავრებას ის შედეგი არ მოჰყვა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მოელოდნენ. **(გაზეთებიდან).**



ამერიკელი დალესი და მისი მოშლილი სალესი

ნახატი ი. ქოქაიშვილისა.

თელავის კულტურის სახლში

თელავი, (საქრედ). ... რაიონული კულტურის სახლი ... ბორთული ... ლობრივი საბჭოების არჩევნებისადმი.

კულტურის სახლში ყოველ საღამოს იკრიბებიან ამომრჩევლები. ისინი გულდასმით ისმენენ ლექციებს, რომლებსაც კითხულობენ კულტურის სახლის ლექტორები. ლექტორმა გ. ჭანკვეტაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია“, ბ. ბაბუნიძემ — „საბჭოთა საარჩევნო სისტემა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულია“ და სხვ.

სახლის თვითმოქმედი წრეები აწყობენ კონცერტებს, დგამენ პიესებს, მართავენ მხატვრულ კითხვას.

ძველი გალავნის საარჩევნო უბანში კულტურის სახლმა მოაწყო მოძრავი გამოფენა.

კულტურის სახლთან შექმნილმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა შალაურის და იყალთოს კოლმეურნეობებში, აგრეთვე თელავის ძველი გალავნის საარჩევნო უბანში. კონცერტებს 600-ზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო.

მხატვრული ბრიგადა საარჩევნო უბნებში

ჭუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა ინიციატივით შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც მომსახურებას უწევს საარჩევნო უბნებს.

ბრიგადაში გაერთიანებული არიან თეატრის მოწინავე ახალგაზრდები — რეჟისორი ი. კაკულია (ხელმძღვანელი), მსახიობები ბ. ჯაფარიძე, გ. ღაღანიძე, ი. სიხარულიძე, ზ. ცირამუა, ... გრელიშვილი და სხვ.

საარჩევნო უბნებში ბრიგადამ უკვე გამართა ათამდე კონცერტი.

უძლიერეს მოკრივეთა შეჯიბრება

თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში დამთავრდა შეჯიბრება კრივში საქართველოს 1953 წლის საუწყებათაშორისო გუნდური პირველობისათვის. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სასპორტო კლუბის, აგრეთვე სასპორტო საზოგადოება „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ნაკრებმა გუნდებმა.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონობის მთავარი მეტოქენი — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სასპორტო კლუბისა და „დინამოს“ მოკრივეთა კოლექტივები. გაიმარჯვეს არმიელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 7:3. შეჯიბრების მეორე დღეს ასეთივე ანგარიშით დინამოელებმა დაამარცხეს „სპარტაკის“ გუნდი.

უკანასკნელ დღეს არმიელმა მოკრივეებმა მოუგეს „სპარტაკის“ გუნდს ანგარიშით 9:4 და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდა „დინამოს“ მოკრივეთა კოლექტივი.

ახალი წიგნები

ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის. I. (ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 1952 წ. 524 გვ. ფასი 14 მან.

გ. ნადარეიშვილი. საქადრაკო ეტიუდები. სპორტგამის გამოცემა. წიგნის რედაქტორია თ. გიორგაძე, 221 გვ. ფასი 7 მან. და 10 კაპ.

ლექციები. კონსულტაციები

○ **კაცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში** 20 თებერვალს საღამოს 8 საათზე მოეწყობა კონსულტაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალების შემსწავლელთათვის თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა და სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები“. კონსულტანტი ს. გოგელია.

○ **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ბიბლიოთეკაში** (ლენინის ქ. № 5) დოცენტი გ. ზარდალიშვილი ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ლექცია შედგება 20 თებერვალს საღამოს 8 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საკოლმეურნეო წყობილების დიადი ძალა

(დასასრული)

ურნეო დოვლათის განაივება და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სხვა დარღვევები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა, განუხრელად ასრულებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, ამხანაგ სტალინის მითითებებს, გადამწყვეტ ღონისძიებებს იღებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და დაცვისათვის. პარტიული ორგანიზაციები საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს ზრდიან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ძირითადი კანონის — მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით.

საკოლმეურნეო წყობილებას უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინს. მტკიცედ დავიცვათ საკოლმეურნეო ქონება, კიდევ უფრო გავაძლიეროთ სიფხიზლე საკოლმეურნეო დოვლათის დაცვის საქმეში, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საკოლმეურნეო ქონების ხელყოფა ფაქტიურად მტრისთვის ხელის შეწყობას ნიშნავს. ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, — ასეთია ყოველი საბჭოთა მოქალაქის წმინდა მოვალეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე შემდგარ თათბირზე საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ განაცხადა: „ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ უდარდელობა და დოყლაპიობა, და მაშინ სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილ უბნებზე საქმე გამოსწორდება, წავა ისე, როგორც პარტია მოითხოვს“.

ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახლა მთელი ძალით იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ დიდი სტალინის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები — საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფა და მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სამამულო წარმოების ჩაით. დიდი მუშაობა ჩაღდება მევენახეობის, მებაღეობის, მეაბრეშუმეობის საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგებიდან მოწინავე დარგებად გადაქცევისათვის.

კოლმეურნეთა, მექანიზატორთა ღირსებისა და სახელის საქმეა სანიმუშოდ მოემზადონ და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, კარგად გამოაზამთრონ პირუტყვი, საუკეთესოდ მოუარონ მრავალწლიან ნარგავებს და ამთავითვე შექმნან ყველა პირობა წელს უხვი და მყარი მოსავლის მოყვანისათვის.

დიდი სტალინის გენიალურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მისმა შთამაგონებელმა სიტყვამ პარტიის XIX ყრილობაზე, ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა კოლმეურნეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღაფრთოვანეს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა და ბრწყინვალედ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურმა საზოგადოებამ. ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს.

კ. სიმონიშვილი.

საგაზაფხულო ბრძოლა

ოპერისა და ბალეტის თეატრი

20 თებერვალს	ჯ. ვერდი — აიდა
21 თებერვალს	ჯ. ვერდი — რიგოლეტო

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

1953 წლის 20 თებერვლისათვის დანიშნული წარმოდგენა

„გაზაფხულის ღიღა“

გადატანილია ორშაბათს, 23 თებერვლისათვის. 20 თებერვლისათვის შეძენილი ბილეთები გამოდგება 23 თებერვალს.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე
დიდი საცირკო წარმოდგენა
ახალგაზრდათა კოლექტივი
კარნავალი ყინულზე
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

კვირას, 22 თებერვალს
დღისით
ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 საათზე.
ბილეთები იყიდება ცირკის სალაროებში.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

საქართველოს რადიოგადაცემათა 21 თებერვლის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — კომპოზიტორ შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.15 — კონცერტი ი. თაქთაქიშვილის და ს. მეძველიას შესრულებით; 12.45 — კალინკოვისა და კიუის საფორტეპიანო ნაწარმოებები; 17.15 — ჩასაბერ საკრავთა ორკესტრების კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის „ფიზიკის გაკვეთილზე“; 18.20 — კონცერტი რადიომსმენელთა შეკვეთით; 19.20 — პოპულარული სიმღერები; 19.35 — საუბარი: „იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევა“; 20.30 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი (ქალაქის ქსელით); 20.45 — კონცერტი — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან; 21.00 — საუბარი „ხემიცემის წესი“; 22.20 — საუბარი: „გმირობისა და დიდების დოკუმენტები“; 22.35 — ლიტერატურული გადაცემა — „ყველაზე პატიოსანი ადამიანი ქალაქში“ (ინსცენირება); 22.55 — საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი; 00.05 — კონცერტი დუნაევსკის, ბლანტერისა და ნოვიკოვის ნაწარმოებიდან.

თბილისის საექსკურსიო ბაზა 1953 წლის სეზონისათვის ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ მსურველებს მიჰყიდის ტურისტულ საგზურებს შემდეგი მარშრუტებით: **მოსკოვი, ლენინგრადი, იალტა, სოჭი, სუხუმი, პიატიგორსკი, ნალჩიკი, ბათუმი, მწვანე კონცხი, ერევანი, კრასნოდარი, საქართველოს სამხედრო გზა, სუხუმის სამხედრო გზა, ოსეთის სამხედრო გზა** და სხვ.

ინდივიდუალური მსურველები სარგებლობენ ღირებულების ნაწილ-ნაწილად შეტანის უფლებით.

ცნობებისათვის მიმართეთ სულხან-საბას ქ. № 11, ტელეფონი № 3-58-41.

ოთარ ... ...